



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N23**

ქ. ლანჩხუთი

19.12.2018 წელი

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-მწვანეები"-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე და საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის). სხდომას ასევე ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიმიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ზუგუაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ეკა მეგრელიშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მათა კუპატაძე და საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია და საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი გურამ ბოლქვაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ფაცურია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ იმედაიშვილი და მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის

უფროსი ლევან ჩხაიძე, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნინო მშვიდლობაძე, პრესის წარმომადგენლები და საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის წარმომადგენელი ირაკლი პაპავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით, რომ დროულად იქნას გადაწყვეტილი მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: თ. იმედაიშვილი/

2. "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: ლ. ჩხაიძე/

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგს.

კენჭისყრას ესწრებოდა 19 დეპუტატი.

მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

სხდომას შეუერთდა საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-მრეწველების" თავმჯდომარე საპარტაკ კვაჭაძე და საკრებულოს წევრი აკაკი იმნაიშვილი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, თამაზ იმედაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯი უნდა შემცირდეს 12500 ლარით და გაიზარდოს ხელფასის ფონდი 5000 ლარით, შტატგარეშე მომსახურეთა ანაზღაურება 4500 ლარით და ოფისის ხარჯი 3000 ლარით. შემცირდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 9000 ლარით და სესხის სარგებლის პროცენტის 23350 ლარით, გაიზარდოს მერიის ოფისი - მუხლი 11370 ლარით და სხვა ხარჯების მუხლი 780 ლარით, გაიზარდოს გარე განათების ელექტროენერჯის ხარჯი 11600 ლარით. საპროექტო

დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის დამატებით გამოიყოს 38000 ლარი. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის სუფსიდის დაფინანსება შემცირდეს 1130 ლარით და გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ხარჯი 1130 ლარით; მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა გაიზარდოს 1350 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის და ერთჯერადი დახმარების პროგრამა გაიზარდოს 31080 ლარით. სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა გაიზარდოს 2000 ლარით, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა გაიზარდოს 15000 ლარით, იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა 400 ლარით.

ამასთან, მიზანშეწონილად ჩაითვალა გაეზარდოთ დაფინანსება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს“ 5000 ლარის ოდენობით, მათ შორის სუფსიდია 30960 ლარი, არაფინანსური აქტივები 24040 ლარი. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 10800 ლარით, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის გაერთიანების დაწესებულებების ხარჯი გაიზარდოს 18000 ლარით, ამასთან შემცირდეს არაფინანსური აქტივების მუხლი 2012 ლარით და გაიზარდოს სუფსიდის მუხლი 2012 ლარით. შპს ქალთა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის ლანჩხუთი“ -ს დაფინანსება გაეზარდოს 6000 ლარით. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით შემცირდეს ბიკარბონატული ჰემოდიალიზით თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯი 3080 ლარით, ხანდაზმულ (100 და მეტი ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა შემცირდეს 400 ლარით და გაიზარდოს უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადი 165550 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის N2367 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის გამოეყო 800000 ლარი, რომელიც უნდა მიიმართოს სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციაზე.

აღნიშნული ღონისძიებების შესაბამისი ცვლილებები აუცილებელია აისახოს 2018 წლის ბიუჯეტში როგორც შემოსავლით, ისე ხარჯვით ნაწილში.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** დააყენა წინადადება, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტში მერიის სარეზერვო ფონდი გაიზარდოს 2000 ლარით.

საკრებულოს წევრმა, **იოსებ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ მან მიმდინარე წლის 22 მაისს წერილობით მიმართა მერიას მიეწოდებინათ შპს "რეალექსპერტთან" დადებული ხელშეკრულების ასლი გაცნობის მიზნით, მაგრამ აღნიშნულთან დაკავშირებით პასუხი ჯერაც არ მიუღია. მან განაცხადა იმის გამო, რომ ის არ იცნობს ხელშეკრულების პირობებს თავს იკავებს კენჭისყრაში მონაწილეობაზე.

საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-მწვანეების" თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ შპს "რეალექსპერტის" მიმართ არის გარკვეული სახის პრეტენზიები და აქედან გამომდინარე მას მიზანშეუწონლად მიაჩნია აღნიშნული კომპანიისთვის 38000 ლარის დამატება.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ემზარ თევდორაძემ** გამოთქვა უკმაყოფილება შპს

"რეალექსპერტის" მიმართ და განაცხადა, რომ აღნიშნული კომპანია სრულფასოვნად ვერ ასრულებს თავის მოვალეობას.

საკრებულოს იურიდიული და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანი**მ განაცხადა, რომ შპს "რეალექსპერტთან" დადებული ხელშეკრულება არის გადასახედი, ვინაიდან აღნიშნული კომპანიის მიმართ გამოითქვა გარკვეული სახის პრეტენზიები. მან ასევე დასვა შეკითხვა იმის თაობაზე, თუ რამ განაპირობა ბიკარბონატული ჰემოდიალეზით თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯის შემცირება 3080 ლარით, რაზეც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **თამაზ იმედაიშვილმა** განმარტა, რომ ერთი ბენეფიციარი გარდაიცვალა, რის შედეგადაც თანხა დარჩა აუთვისებელი და ხდება გადატანა სხვა მუხლში.

საკრებულოს წევრმა, **ელისო ჭიჭინაძემ** განაცხადა, რომ სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად ბიკარბონატული ჰემოდიალეზით თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯის შემცირება 3080 ლარით კითხვის ნიშნებს ბადებს, ვინაიდან ერთი ბენეფიციარის ტრანსპორტირების თანხა შეადგენს 144 ლარს.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განაცხადა, რომ იგი საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად შეხვდა შპს "რეალექსპერტის" ხელმძღვანელობას და ისაუბრეს ყველა პრობლემურ საკითხზე. რადგანაც არსებობს კითხვები აღნიშნული კომპანიის მიმართ აუცილებელია შედგეს შეხვედრა საკრებულოს წევრებსა და შპს "რეალექსპერტის" ხელმძღვანელობას შორის და ყველა არსებულ კითხვას გაეცეს პასუხი.

საკრებულოს წევრების მიერ წარმოდგენილ დადგენილებას პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 21 დეპუტატი.

**მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი 1 დეპუტატი (იოსებ ჩხაიძე)
მიღებულ იქნა დადგენილება N60 (19.12.2018)**

დღის წესრიგის მეორე საკითხი "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ. მან ისაუბრა ყველა იმ პროექტის შესახებ, რომელთა განხორციელებაც იგეგმება 2019 წლისთვის.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვამემ** აღნიშნა, რომ სოფელ ჩიბათში 4 წელია დაწყებულია მინი სტადიონის გაკეთება და ვერ მოხერხდა სამუშაოების დასრულება. მან

დააყენა წინადადება, რომ აღნიშნული სტადიონის მოწყობა შეტანილ იქნას წარმოდგენილ პროექტების ნუსხაში, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ მინი სტადიონის მოწყობა რეგ.ფონდიდან ვერ მოხერხდება.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ემზარ თევდორაძემ** გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ წარმოდგენილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში გათვალისწინებულია მხოლოდ გზებისა და ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა. სოფლებში არის მეწყრული ზონები, სადაც აუცილებელია გზებთან ერთად ნაპირსამაგრების გაკეთება.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ საჭიროება მოითხოვს გზასთან ერთად ნაპირსამაგრი სამუშაოებიც ჩატარდება. სხვა შემთხვევაში აღნიშნული სამუშაოები ფინანსდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხებით.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების თანხა მიმდინარე წელთან შედარებით გაზრდილია 1000000 ლარით. მისი აზრით პირველ რიგში აუცილებელია ქალაქის ტერიტორიაზე დამთავრდეს სანიაღვრე არხების მოწყობა და ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა.

საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-მწვანეების" თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ აუცილებელია ქალაქთან ერთად სოფლებსაც მიექცეს ყურადღება. სოფლის გზებზე მხოლოდ ხრეშის დაყრა არ არის საკმარისი.

საკრებულოს წევრმა, **კარლო კვიციანიშვილმა** აღნიშნა, რომ აგარაკის უბანში ოთხი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავი არის ავარიულ მდგომარეობაში და საჭიროებს გადახურვას. წარმოდგენილ ინფრასტრუქტურულ პროექტში მრავალბინიანი სახლების გადახურვისთვის გამოყოფილია 150000 ლარი. იგი დაინტერესდა, თუ რომელი კორპუსის გადახურვა იყო გათვალისწინებული აღნიშნული თანხით.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ აღნიშნული თანხით დაფინანსდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ის ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომლის სახურავიც უფრო ავარიულ მდგომარეობაშია.

საკრებულოს იურიდიული და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიშვილმა** აღნიშნა, რომ აუცილებელია ქალაქის ცენტრში გარე ვაჭრობის მოწესრიგება.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ გარე ვაჭრობასთან დაკავშირებით გამოითქვა გარკვეული სახის პროტესტი, მაგრამ გარემოვაჭრეთა დაჯარიმება მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში არ შედის. ა(ა)იპ "სპორტული ცენტრის" მიმდებარე ტერიტორიაზე გამოიყო ადგილი სპეციალურად გარე ვაჭრობისთვის, სადაც

დაიგება ასფალტის საფარი და წლის ბოლოსთვის დასრულდება აღნიშნული ტერიტორიის მოწესრიგება.

საკრებულოს იურიდიული და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, **ვერიკო კვიციანი** დაინტერესდა თუ რატომ არ ხდება რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ბაზრის რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ აღნიშნული ბაზრის ტერიტორიით დაინტერესებული იყო პიროვნება, რომელსაც გააჩნდა სურვილი ტერიტორიის მოწესრიგების და იქ არსებული შენობა-ნაგებობის კერძო მფლობელობაში გადაცემის. აღნიშნულთან დაკავშირებით ეკონომიკის სამინისტროში გაიგზავნა არაერთი წერილი, მაგრამ სამწუხაროდ სამინისტრომ უარი განაცხადა შენობა-ნაგებობის გასხვისებაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი ობიექტია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რომელიც არის ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე, არის ამორტიზირებული და საფრთხის შემცველი. სამწუხაროდ მათი დაშლის უფლება მუნიციპალიტეტს არ გააჩნია.

საკრებულოს წევრმა, **აკაკი იმნაიშვილმა** განაცხადა, რომ სოფელ შუხუთში ჩანგრეულია საყანე ფართობებთან მისასვლელი "არხის" ხიდი და სოფელ ზემო შუხუთის ტერიტორიაზე ბაქანთან მისასვლელი ხიდი, რომელიც მოსაგვარებელია უმოკლეს ვადაში.

საკრებულოს წევრი, **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა საკმარისი იქნებოდა თუ არა 300000 ლარი ორ სოფელში (ლესა, ჯურუყვეთი) წყალმომარაგების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისთვის. მერიის სივცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ წარმოდგენილ ნუსხაში დაფინანსების თანხა არის მიახლოებითი. დაპროექტების შემდგომ, საჭიროების მიხედვით იქნება ზუსტი თანხა განსაზღვრული. პროექტის განხორციელებას შეიძლება გაგრძელდეს 2 წლის განმავლობაში.

საკრებულოს წევრმა, **იოსებ ჩხაიძემ** განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა ჯერ უნდა მომხდარიყო საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე.

საკრებულოს წევრმა, **კარლო კვიციანი** მოსახლეობის სახელით მადლობა გადაუხადა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისთვის.

საკრებულოს წევრების მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 21 დეპუტატი.

მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი 1 დეპუტატი (ოსებ ჩხაიძე).
მიღებულ იქნა განკარგულება N100 (19.12.2018)

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

